გამართული სასკოლო ინფრასტრუქტურა: ელემენტარული აუცილებლობა თუ ფუფუნების საგანი

ბავშვობაში ვინმეს რომ ეკითხა ჩემთვის, როგორ სკოლას ისურვებდიო, უსასრულოდ ვილაპარაკებდი ამერიკულ ფილმებში ნანახ ნათელ, ფერად სკოლაზე, დიდი სპორტული მოედნით, ლაბორატორიებით თუ სხვა საგანმანათლებლო ინვენტარით აღჭურვილზე და არა ცარცით დაფარულ, გახუნებულ კედლებსა და ალაგ-ალაგ აყრილ ფიცრის იატაკსა თუ შეშის ღუმელზე. სამწუხაროდ, საქართველოში არც ახლა და მითუმეტეს არც მაშინ, სკოლების უდიდეს ნაწილს მსგავსი რესურსი და გარემო არ გააჩნია. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას სასოფლო ტიპის დასახლებებში. მაგრამ, უფრო კონკრეტულად, რა მოიაზრება ზოგადად სასკოლო ინფრასტრუქტურაში? არის ეს მხოლოდ შენობა თუ სხვა დამატებით ასპექტებსაც აერთიანებს? რატომ არის მნიშვნელოვანი სასკოლო ინფრასტრუქტურა? იგი მხოლოდ ჩვენს ფიზიკურ ჯანმრთელობას უზრუნველყოფს თუ სხვა სახის გავლენაც აქვს სწავლა-სწავლების პროცესზე? აღნიშნული კითხვებით თემის ამოწურვა შეუძლებელია, თუმცა გარკვეულწილად მათზე პასუხების გაცემა საკითხის გარშემო ზოგადი ცოდნის მიღების საშუალებას მოგვცემს. სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ვეცდები და შემოგთავაზებთ რამდენიმე პროგრამის ანალიზს, რომლებიც ინოვაციური მიდგომით ცდილობენ ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას და რომელთა ტრანსფერიც გარკვეული მოდიფიცირებით თითქმის ყველა ქვეყანაშია შესაძლებელი.

მსოფლიო ბანკის განმარტებით, სასკოლო ინფრასტრუქტურა განისაზღვრება, როგორც სასკოლო ობიექტების, სპორტული მოედნების, შენობების, ავეჯისა და საგანმანათლებლო აღჭურვილობის ქსელი, რომელიც საშუალებას აძლებს მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას, სახელმწიფოს მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისად, მოსწავლეებს შესთავაზონ საგანმანათლებლო სერვისები[1]. იგი აერთიანებს, როგორც საგანმანათლებლო კონსტრუქციებს (შენობის მდგომარეობა), ასევე ციფრულ (ელექტრო მოწყობილობები, კომპიუტერები, ინტერნეტ კავშირი) და სხვა სახის საგანმანათლებლო ინვენტარს (ლაბორატორიები, დიზაინი). თუმცა რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ ყველაფერს განათლების ხარისხზე? ალბათ ერთხელ

[1] https://gpss.worldbank.org/en/roadmaps/concepts

მაინც მოგიკრავთ ყური შემდეგი ფრაზისთვის - „თუ სწავლა გინდა, ყველგან ისწავლი“. მაგრამ თქვენ რამდენად გაგიჩნდებოდათ ინტერესი და სურვილი ქიმიური რეაქციები აბსტრაქციებად გესწავლათ ლაბორატორიის მიღმა? ან ფიზიკის ცდები ვერ გასცდენოდა მხოლოდ სიტყვიერ აღწერილობებს? რამდენად მოგცემდათ სწავლის მოტივაციას სკოლა, რომელიც თქვენს ფიზიკურ უსაფრთხოებასაც ვერ უზრუნველყოფდა? შესაძლებელია ერთი შეხედვით კავშირს ვერ ვხედავდეთ ინფრასტრუქტურასა და სწავლის სურვილს შორის და ვამბობდეთ, რომ სწორედ ასეთ გარემოში ვსწავლობდით, თუმცა კვლევები ადასტურებს, რომ სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო პროცესის გამიჯვნა ერთმანეთისაგან დაუშვებელია. ლოგიკა, შესაბამისად, შემდეგნაირია: როდესაც სასკოლო ინფრასტრუქტურა ხელს არ უწყობს სასწავლო პროცესის ოპტიმალურ წარმართვას, მოსწავლეები დროთა განმავლობაში ნაკლებ ენთუზიაზმს ავლენენ სწავლის მიმართ და პასიურ პოზიციაში გადადიან (Nugrohol, & Wibowo, 2019). მოსწავლეთა პასიურობა კი განათლების შედეგებზე უარყოფითად აისახება. თავის მხრივ, განათლება განვითარების ფუნდამენტია. ფაქტობრივად გამოდის, რომ დაზიანებული შენობების ფასს სტუდენტები და მასწავლებლები განათლების დაბალი დონითა და ჯანმრთელობის პრობლემებით იხდიან. გარდა ამისა, ძნელად წარმოსადგენია ფოკუსირებული იყო სწავლაზე, როდესაც გაქვს მოლოდინი, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება შენს ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე შეექმნას. მაგრამ მხოლოდ განათლების დაბალი ხარისხია სკოლებში არასათანადო პირობების შედეგი? სამწუხაროდ არა. განათლების ხარისხის მიღმა კიდევ ბევრი პრობლემა იჩენს თავს. უფრო კონკრეტულად, ლათინურ ამერიკაში 2011 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სკოლებში ისეთი საბაზისო სერვისების ნაკლებობა, როგორებიცაა ელექტროენერგია, სანიტარული კანალიზაცია, სასწმელი წყალი ან ტერიტორიიდან ნარჩენების გატანის სათანადო გზები, ასოცირდება ძალადობასთან, დისკრიმინაციასა და სწავლის შეზღუდულ შესაძლებლობებთან (Duarte, 2011).

თუ საკითხს უფრო ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ გამართული სასკოლო ინფრასტრუქტურა არა ფუფუნება, არამედ საჭიროებაა. გლენ ეარტმანი, ამერიკელი საგანმანათლებლო ადმინისტრატორი, ასახელებს იმ ელემენტარულ სასკოლო ინფრასტრუქტურას, რომელსაც ყველა სკოლა უნდა აკმაყოფილებდეს, ესენია: სასმელი წყალი, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, ადეკვატური საპირფარეშოები

და საკომუნიკაციო სისტემები (Earthman 2004). სკოლის კარგი ინფრასტრუქტურული მდგომარეობა ხელს უწყობს სასწავლო პროცესების უწყვეტობას. სკოლის ინფრასტრუქტურა, როგორიცაა თუნდაც საკლასო ოთახის მდგომარეობა, გავლენას ახდენს სასწავლო აქტივობებსა და მოსწავლეთა ჩართულობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სასწავლო ინფრასტრუქტურის მინიმალური სტანდარტის არსებობა და ამ სტანდარტების დაცვა, რათა ხელი შეეწყოს სწავლა-სწავლების პროცესს. მაგალითისთვის, სულ ახლახანს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, I2Q პროექტის ფარგლებში შემუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტები. აღნიშნული სტანდარტები განსაზღვრავს სასკოლო სავალდებულო სივრცეებს და მთლიანად მორგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე. მინიმალური სტანდარტების არსებობა და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მასთან შესაბამისობაში არსებობა განათლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯია.

გამართული სასკოლო ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა და გავლენა კიდევ უფრო მკაფიო გახდება თუ ანალიზისას სტატისტიკურ მონაცემებსაც მოვიშველიებთ. როგორც ირკვევა, სკოლის ინფრასტრუქტურული პრობლემები მოსწავლეთა გაცდენების ზრდას იწვევს, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენს ზოგადად განათლების ხარისხზე. უფრო კონკრეტულად, UNDP-ის მიერ 2006 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ყოველწლიურად ბავშვები 443 მილიონ სასწავლო დღეს კარგავენ წყალთან დაკავშირებული დაავადებების გამო. როგორც კვლევა აჩვენებს, 272 მილიონი სასწავლო დღე მხოლოდ დიარეის გამო იკარგება. დიარეის შემთხვევათაგან კი 40%-ზე მეტი სკოლაში გადაცემის შედეგია. სუფთა სასმელი წყალი ერთ-ერთ იმ ელემენტარულ ინფრასტქრუქტურას განეკუთვნება, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სასკოლო გარემოსათვის. გარდა ამისა, სკოლის გაცდენები ხშირია საკლასო ოთახებში ჰაერის ცუდი ხარისხის გამო. დახურულ გარემოში რესპირატორული დაავადებები უფრო მარტივად ვრცელდება. ტენიანობამ, ნესტმა და არასათანადო სავენტილაციო სისტემამ შესაძლებელია ობის ზრდა და ალერგიული რესპირატორული ინფექციები გამოიწვიოს. აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა, რომ ცუდი ვენტილაციის მქონე საკლასო ოთახებში სტუდენტების გაცდენის მაჩვენებელი 10-20 %-ით გაიზარდა (World Bank, 2019). გარდა წყლისა და ჰაერის ხარისხისა, აუცილებელია ფიზიკური

აქტივობების შესაძლებლობის არსებობა, რაც ინტელექტუალური მუშაობის დაბალანსებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისთვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ცალსახაა, რომ ფიზიკური აქტივობა და თამაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებაზე. თუმცა სასწავლო პროცესს შეიძლება სხვა ფაქტორებმაც შეუშალოს ხელი, რომლებიც გამართული ინფრასტრუქტურის შემთხვევაში, მარტივად მართვადი და დარეგულირებადი იქნებოდა. მაგალითად, კიდევ ერთი ასეთი ფაქტორია აკუსტიკა. შენობის არასათანადო მდგომარეობა არღვევს აკუსტიკას საკლასო ოთახებში და გარე ხმაური ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესების წარმართვას. ლოგიკურია, რომ საკლასო ოთახში, სადაც ერთმანეთის მოსმენა შეუძლებელი ხდება, სწავლების ეფექტურობაც იკლებს (World Bank, 2019). შესაბამისად, თითქოს ერთ ინფრასტრუქტურულ პრობლემას, რომელიც თუნდაც არასათანადო ფანჯარით ან კარით შეიძლება გამოიხატოს, შეუძლია მთელ პროცესზე სავალალო გავლენა მოახდინოს. თან თუ გავითვალისწინებთ, რომ განათლების ხარისხი პირდაპირ პროპორციულადაა დაკავშირებული საზოგადოების განვითარებასთან. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არა მხოლოდ მოსწავლეებზე, ინფრასტრუქტურული პრობლემები მასწავლებლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს. როგორც მსოფლიო ბანკის ანგარიშიდან ვიგებთ, აღმოჩნდა, რომ სკოლის შენობის მდგომარეობა მძლავრადაა დაკავშირებული მასწავლებლების გადაწყვეტილებასთან დარჩნენ ან დატოვონ პროფესია. მნიშვნელოვანია, რომ ინფრასტრუქტურის მდგომარეობა უფრო ძლიერი გავლენის მქონე ფაქტორია, ვიდრე ხელფასის დონე. პრაქტიკამ კი აჩვენა, რომ დაბალი ინფრასტრუქტურული ინდექსის მქონე სკოლებიდან მასწავლებელთა გადინება უფრო ხშირია (World Bank, 2019). მსოფლიო გამოცდილება ნათლად აჩვენებს თუ რამხელა გავლენა შეიძლება იქონიოს სკოლის ინფრასტრუქტურულმა მდგომარეობამ მასწავლებელთა გადინებასა და მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე, რაც თავის მხრივ დაკარგულ სასწავლო დღეებსა და შესაბამისად, ხარისხის ვარდნასთანაა პირდაპირ კავშირში. თუმცა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ირიბი გავლენების გარდა, მან შესაძლებელია პირდაპირაც მოახდინოს ზემოქმედება განათლების ხარისხზე.

ალბათ ყველა, ვინც ახლა ამ ბლოგს კითხულობთ, საშუალოდ 6 საათს ატარებდით სკოლაში. დღის ნახევრის სკოლაში გატარება მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. მაგრამ რამდენმა თქვენგანმა იცის, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად

ინდოეთში, მოსწავლეები დღეში მხოლოდ სამ საათს ატარებენ სკოლაში? მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ აზიის ქვეყნებში მოსწავლეთა ჩარიცხვის ზრდა შეინიშნება, მათი აკადემიური შედეგები კვლავ დაბალია. ამის მთავარი მიზეზი კი სწორედ სასკოლო დღის მოკლე ხანგრძლივობაა. არასაკმარისი სკოლები, სკოლებში არასაკმარისი და არასათანადო ინფრასტრუქტურა, სივრცის ნაკლებობა - ეს იმ ინფრასტრუქტურულ პრობლემათა მცირე ჩამონათვალია, რაც სასწავლო დღის სიმცირეს განაპირობებს. იკვეთება, რომ სასწავლო პროცესის ოპტიმალურად წარმართვა და შედეგებზე გასვლა დიდწილად დამოკიდებულია სასკოლო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობაზე. მას ხშირად „მესამე მასწავლებელსაც“ უწოდებენ. რა თქმა უნდა, პირველ ადგილზე სასწავლო გეგმა და თავად მასწავლებელი დგანან, თუმცა ეს არ გამორიცხავს ინფრასტრუქტურის გავლენის მნიშვნელობას. გარდა ამისა, სასწავლო მიდგომები დროსთან ერთად იცვლება და მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურა მის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს. საქართველოსთვის ახალი სასკოლო ინფრასტრუქტურული სტანდარტიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ეროვნულ სასწავლო გეგმასთან სრულ თანხვედრაშია. თუმცა, არ შეიძლება მისი მხოლოდ არქიტექტურულ დეტერმინიზმამდე დაყვანა. იგი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ფიზიკური გარემო. პედაგოგიკასა და სივრცეს შორის ამ უერთიერთობის ყველაზე აშკარა ასპექტი კი განლაგებაა. მიიჩნევა, რომ ფიზიკურ გარემოში ცვლილება კოგნიტურ ასპექტებზე უნდა იყოს დაფუძნებული და იგი პირდაპირ აისახება ჩართულობის მაჩვენებელზეც. როგორც კვლევებიდან ირკვევა, იმ მოსწავლეებმა, რომელთა სკოლებში ინფრასტრუქტურული პრობლემებია, 5-10%-ით დაბალი ქულები მიიღეს იმ მოსწავლეებთან შედარებით, რომლებსაც გამართულ სკოლის ინფრასტრუქტურაზე მიუწვდებოდათ ხელი (World Bank, 2019). ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი ცხადყოფს თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს სასკოლო ინფრასტრუქტურის გამართულობას, როგორც ჩვენს ჯანმრთელობაზე, ასევე განათლების ხარისხსა და შესაბამისად საზოგადოების განვითარებაზე. აღნიშნული მიზეზების გამო აუცილებელია სახელმწიფოებრივმა და არასახელმწიფოებრივმა აქტორებმა იზრუნონ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება მრავალი მექანიზმითაა შესაძლებელი, თუმცა საკმაოდ დიდ ხარჯებს უკავშირდება. ზოგიერთმა

სახელმწიფომ თუ ორგანიზაციამ ინოვაციურ გზას მიმართა აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად. ქვემოთ რამდენიმე მათგანს გაგაცნობთ:

როდესაც სასკოლო ინფრასტრუქტურაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში შენობის არსებობასა და მის მდგომარეობას ვგულისხმობთ. სკოლის შენობები ჩინეთის სასოფლო დასახლებებში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. მსგავს დასახლებებში გარკვეული სკოლები გაუქმდა და გაერთიანდა უფრო დიდი ქალაქის ერთეულებად. სწორედ ამის საპასუხოდ შეიქმნა 2016 წელს სოციალური ინოვაციების პროგრამა **InterBox.** პროგრამა არსებითად ფუნქციონირებს, როგორც ბიბლიოთეკა, თუმცა მას ბიბლიოთეკის გარდა სხვა მრავალი დატვირთვაც აქვს. პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ InterBox არის კონტეინერი და არა შენობა. შეიძლება ერთი

შეხედვით გასაკვირიც იყოს, როგორ შეიძლება გადაზიდვის კონტეინერმა ჩაანაცვლოს შენობა, მაგრამ ლოგიკა მარტივია, მისი მოდიფიცირებით და ინტერიერის მოწყობით, იგი მთლიანად შეესაბამება ჩინეთში არსებულ სტანდარტებს და მის აწყობა გადაზიდვას 7-15 დღე სჭირდება. მსგავსი შესაძლებლობა საშუალებას იძლევა პრობლემა რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდეს და საგანმანათლებლო სერვისებმა მიაღწიოს ისეთ ადგილებშიც, სადაც სკოლები დაიხურა. უფრო დეტალურად, კონტეინერის ფართობი 18 კვადრატული მეტრია და 30 მოსწავლესა და ერთ მასწავლებელს იტევს, ასევე აღჭურვილია ციფრული თუ სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსებით. იმისთვის, რომ პროგრამის არსი უკეთ გავაანალიზოთ, რამდენიმე კითხვას უნდა გავცეთ პასუხი: 1- როგორ შოულობს პროგრამა ფულს კონტეინერების საწარმოებლად? გარდა იმისა, რომ ისინი შემოწირულობებს იღებენ სხვადასხვა სექტორიდან, მნიშვნელოვანია, რომ აქვთ დაფინანსების საკუთარი წყაროებიც. სოციალური საწარმოს ბიზნეს მოდელის მიხედვით, პროექტი დაყოფილია ორ კომპონენტად: სოფლად და ურბანულ სივრცედ. ურბანულ სივრცეში კონტეინერები იდგმება ყავის, წიგნის მაღაზიებად, საოფისე ფართებად ან რაიმე სხვა დანიშნულების კომერციულ ფართად, რომლის გაქირავებიდან შემოსული თანხითაც სასოფლი სივრცეში თავსდება კონტეინერი ბიბლიოთეკის ან საკლასო ოთახის დანიშნულებით. აღნიშნული კომპონენტები,

პროგრამას საშუალებას აძლევს საკუთარი თავი თავადვე დაიფინანსოს. 2-როგორ ირჩევა სად უნდა დაიდგას კონტეინერი? პირველ რიგში სკოლამ უნდა გააკეთოს განაცხადი პროგრამის ვებსაიტით ან სოციალური მედიის საჯარო ანგარიშის მეშვეობით. სკოლამ ინტერბოქსის ჯგუფს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია თუ სადაა კონტეინერის განთავსებისთვის ადგილი, ვინ იქნება კონტეინერის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი და რამდენი მოსწავლე ჰყავს სკოლას. სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა ჩართულობით დგება კონცეფცია, თუ როგორ შეიძლება ინტერბოქსი გამოყენებული იყოს განათლების ხარისხის გასაზრდელად, როგორ გამოიყენებენ მას მასწავლებლები და რა სურთ

ყველაზე მეტად მოსწავლეებს. 3- რაში მდგომარეობს ინტექბოქსის ინოვაციურობა? რამდენიმე ასპექტია, რომელსაც ინტებოქსი მაქსიმალურად ამარტივებს და რის გამოც იგი ჩვეულებრივ შენობაზე ბევრად მოქნილია. პირველ რიგში ამას განაპირობებს მისი მშენებლობის სიმარტივე. ამ სიმარტივიდან გამომდინარე, მცირდება მისი ხარჯებიც. გარდა ამისა, კონტეინერი ჩვეულებრივ შენობასთან შედარებით მობილურია. ჩინეთის სკოლებში მოსწავლეთა შემცირების ტენდენციიდან გამომდინარე, მობილურობა საშუალებას იძლევა კონტეინერი ერთი ადგილიდან მეორეზე გადავიდეს, რაც შენობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. უფუნქციოდ დარჩენილი შენობა და სხვა ადგილას მისი მშენებლობა გარკვეულ ხარჯებს უკავშირდება. ამავე დროს, საჯარო მოხელეებისთვის მცირეა სტიმული, ინვესტიციები განახორციელონ ახალი შენობების მშენებლობაში, როდესაც სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირდება და ნებისმიერ დროს შესაძლებელია სხვადასხვა სკოლა გაერთიანდეს და ზოგიერთი მათგანი დაიხუროს კიდეც.

კონტეინერების იდეა მხოლოდ ჩინეთისთვის ნამდვილად არაა დამახასიათებელი. მას სკოლის სივრცეებად ასევე იყენებს **Signal Shala.** აღნიშნული პროგრამა ეკუთვნის არასამთავრობო ორგანიზაცია Samarth Bharat Vyaspeeth-ს,

რომელიც ინდოეთში, პუნაში ფუნქციონირებს. გადაზიდვის კონტეინერებიდან მათ შექმნეს საკლასო ოთახები და ელემენტარული ჰიგიენური ნორმების დაცვის შესაძლებლობა იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა. ასეთები კი ის ბავშვები არიან, რომელბიც სკოლაში სწავლის მაგიერ ქუჩაში მათხოვრობითა და შუქნიშნებზე ნივთების გაყიდვით ირჩენენ თავს. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა შემოწირულობებზეა დამოკიდებული და მათი მოსწავლეების რაოდენობა ნელ-ნელა იზრდება. მთავარი მიზანი არა ყველა მათგანის ექიმად ან ინჟინრად ჩამოყალიბებაა, არამედ მათთვის იმ ცოდნის მიწოდებაა, რაც

შემდგომ ღირსეულად ცხოვრებაში დაეხმარებათ. იქიდან გამომდინარე, რომ მათი ბენეფიციარები ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია, ამ ბავშვებს ხშირად განათლების სერვისების გარდა, ასევე არ აქვთ წვდომა თავშესაფარსა და ჯანდაცვის სერვისებზე. აღნიშნული კონტეინერების სკოლა მათ ამ შესაძლებლობებსაც სთავაზობთ. კონტეინერის მულტიფუნქციური ხასიათი საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა ერთ სივრცეში მიიღონ ყველა ის სერვისი, რაც ესაჭიროებათ. გარდა ამისა, როგორც წინა მაგალითიდანაც გამოჩნდა, კონტეინერის საგანმანათლებლო მიზნებით გამოყენების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა მისი მცირე ღირებულებაა, რაც საშუალებას იძლევა გამოთავისუფლებული თანხები სხვა სახის სერვისების მიწვდას მოხმარდეს.

კიდევ ერთი საგანმანათლებლო სოციალური ინოვაცია არის **BALA**, რომელიც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით განათლების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნე, ინფრასტრუქტურა მხოლოდ შენობას არ გულისხმობს. BALA სწორედ ისეთ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც არაა დაკავშირებული სუფთა სასმელ წყალთან ან შენობის არსებობასთან, არამედ აღნიშნული შენობის შესაბამისობასთან საგანმანათლებლო მიზნებთან დაწყებით კლასებში. იგი შეიქმნა Vinyas-ის მიერ და აქტიურად უჭერდა მხარს, როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ასევე UNICEF-ი. წარმოვიდგინოთ სკოლის შენობა, საკლასო ოთახები, გარე რეკრეაციული თუ სპორტული სივრცეები, რომლებიც

სხვადასხვა ნახატებით, ფერებით, სასწავლო დეკორაციებითაა გაფორმებული. სწორედ ასეთი სკოლების იდეას მიჰყვება BALA და მისი მთავარი მიზანიც სწორედ ბავშვებზე მორგებული, მეგობრული გარემოს შექმნაა, სადაც სკოლის ყველა ინვენტარი და მათ შორის კედლები და იატაკიც კი შემეცნებითი აქტივობებისთვის იქნება გამოყენებული. მიიჩნევა, რომ სამგანზომილებიანი სივრცე ბავშვებს სთავაზობს შემეცნების შესაძლებლობებს, მაშინაც კი როდესაც საგაკვეთილო პროცესი არ მიმდინარეობს. გარდა ამისა, იგი ამარტივებს აბსტრაქტული კონცეფციების გაგებასა და გააანალიზებას. როგორ ახერხებს პროგრამა ამას? მათ სჯერათ, რომ სკოლის არქიტექტურა ღირებული სასწავლო რესურსია. პროგრამა ინოვაციურია იმდენად, რამდენადაც იგი პირველი მცდელობაა ინდოეთში, შენობა და მისი კომპონენტები გამოყენებული იყოს, როგორც სასწავლო რესურსი. თუმცა არ უნდა ვიფიქროთ ის, რომ მხოლოდ ორგანიზაციები და ხელისუფლება ზრუნავენ სკოლის ინფრასტრუქტურის მოწყობის კრეატიულ გზებზე. მნიშვნელოვანია პროგრამის მდგრადობაც, რაც მიიღწევა იმით, რომ, პირველ რიგში, ტრენინგდებიან მასწავლებლები და გაადეცემათ საჭირო რესურსები, რომლებსაც ისინი საკუთარი მოსწავლეების სპეციფიკიდან გამომდინარე იყენებენ. პროგრამის პრაქტიკამ აჩვენა, რომ სკოლაში სივრცითი ელემენტების შეცვლით შეიცვალა ბავშვების ქცევის პატერნებიც, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე თუ რამხელა გავლენა შეიძლება ჰქონდეს სკოლის ინფრასტრუქტურას მოსწავლეებზე.

კიდევ ერთი და ჩვენს შემთხვევაში ბოლო ინოვაციური პროგრამა, რომელიც სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და სასწავლო გეგმასთან და სწავლების ტიპთან შესაბამისობით განათლების ხარისხის აწევასა და მდგრადობას უზრუნველყოფს არის **Green School Program**. მწვანე სკოლა არის ლაბორატორიული სკოლის პროექტი, რომელიც მდებარეობს ბალის ჯუნგლებში. მისი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია მწვანე ლიდერების აღზრდაზე და აქვს მდგრადი

ეკოლოგიური პრინციპები, რომლებიც მოიაზრებს ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებას. გარდა ამისა, შენობის ინტერიერის მოსაპირკეთებლად მთლიანად გამოყენებულია ბამბუკი, რაც სრულ შესაბამისობაში მოდის სკოლის გაცხადებულ მიზანთან აქცენტი გააკეთოს ეკოლოგიურ პრობლემებზე და მისი ყველა აქტივობა შეესაბამებოდეს გარემოს მდგრად განვითარებას. სასკოლო ინფრასტრუქტურა მთლიანად გარემოსაა მორგებული, რაც ბავშვებს საშუალებას აძლევთ ბუნებრივ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ სივრცეში ისწავლონ, რაც მათ ბუნებასთან კავშირს მეტ სიმყარეს სძენს. უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო ინფრასტრუქტურამ და მოწყობამ გავლენა იქონია ბავშვებში სტრესის მაჩვენებელზე. სხვა სკოლების მოსწავლეებისაგან განსხვავებით, მათ ნაკლები სტრესი, მაღალი თვითშეფასება, მეტი გამძლეობა და ნაკლები ყურადღების გაფანტულობა ახასიათებდათ.

რომ შევაჯამოთ სასკოლო ინფრასტრუქტურა არაა მხოლოდ ფიზიკური გარემო ან ესთეტიკური ტკბობის საშუალებაა, რომელიც ფუფუნების საგანია, არამედ საბაზისო საჭიროებას წარმოადგენს, როგორც ბავშვების უსაფრთხოებისთვის, ასევე განათლების ხარისხის ასაწევად. თანაც უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ კონკრეტულ ინოვაციურ გზებს მივმართავთ, შესაძლებელია ხარჯთ-ეფექტური გზების მოძიებაც. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით, ბევრი სხვა საგანმანათლებლო პრობლემის აღმოფხვრაა შესაძლებელი, ერთი მარტივი მიზეზის გამო: თუ მასლოუს პირამიდას მოვიშველიებთ, როცა არ გვაქვს ელემენტარული საჭიროება დაკმაყოფილებული, იქ მაღალ მატერიებზე საუბარი და მათი მიზნად დასახვა განუხორციელებელ ოცნებებად რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

Barrett, P., Treves, A., & Shmis, T. (2019). The Impact of School Infrastructure on Learning: A Synthesis of the Evidence. World Bank Group.

Nugrohol, A. A., & Wibowo, U. B. (2019). The Influence of School Infrastructure on Student Learning Activeness: A Research Study. Advances in Social Science, Education and Humanities Research, vol 397.

Duarte, J., C. Gargiulo, and M. Moreno. 2011. Infraestructura Escolar y Aprendizajes en la Educación Básica Latinoamericana: Un Análisis a Partir Del SERCE. Washington, D.C.: International Development Bank.